ხელშეკრულება №141
სახელმწიფო შესყიდვის .შესახებ

ქ. გორი 06 ოქტომბერი 2016 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"(ს/კ 417874973) (შემდგომში – „შემსყიდველი"), მისი დირექტორის გიორგი ტუღუშის სახით და მეორეს მხრივ შპს „მოდულ მნ"(ს/კ 417873787) (შემდგომში – მიმწოდებელი),დირექტორის ნოდარ მექვაბიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილას GEORGIA GORI CITY HAII Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze" საკუთარი სახსრებით მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (CPV50112000).

2. ხელშეკრულების ობიექტი და საერთო ღირებულება

*2.1.*ხელშეკრულების ობიექტია ბალახის საკრეჭი მანქანის შეკეთება.
2.2შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით (ლარებში).
2.3.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 250 (ორასორმოცდაათი) ლარს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით.
3.2.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: გორი ცხინვალის გზ.№8.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტის მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ რომელიც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში);
5.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.
5.3.ანაზღაურების ადგილია ქალაქი გორი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2.შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად;
უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
-მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
6.4მიმწოდებელი ვალდებულია:
დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
7.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება;
7.3.ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;
7.4ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

91.ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

10.1მხარეები თავისულდებიან განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის მომსახურეობის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება,რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის მომსახურეობის შესაბამისობის დადგენა ხელშერკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან .

11.2 ხელსეკრულების ინსპექტირებას და მომსახურეობის მიღება-ჩაბარებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილას GEORGIA GORI CITI HALL Municipality NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"–სტადიონის მთავარი სპეციალისტი გიორგი მაისურაძე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის მერიის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი დილა GEORGIA Gori Municipality NLP Football Club DILA under Tengiz – Burjanadze მისამართი: გორი, გურამიშვილის ქ. № 5 საბანკო რეკვიზიტები: ბანკი სახელმწიფო ხაზინა ბ/კოდი TRESGE22 ს/კ 417874973	შპს „მოდულ მნ" ცხინვალის გზ. 8 საბანკო რეკვიზიტები სს თიბისი ბანკი ანგ № GE04TB7484136050100004 ბანკის კოდი TBCGE22 ს/კ 417873787
დირექტორი: გ.ტუღუში	დირექტორი: ნ.მექვაბიძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. გორი 06 ოქტომბერი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ მინდვრის საკრეჭი მანქანის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება, ,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შპს „მოდულ მნ"-თან ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით.

ა(ა)იპ ,,ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის
თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო
კლუბი დილა GEORGIA GORI CITI HALL Municipality
NLP Football Club DILA under Tengiz Burjanadze"-ს
დირექტორი — გიორგი ტუღუში

სტადიონის მთავარი სპეციალისტი — გიორგი მაისურაძე

შესიდვების კოორდინატორი — სვეტლანა ზაუტაშვილი